ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება:	საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:
1. C-133/16 კრისტიან ფერენშილდი, ჟეიფისი მოტორს ესეის წინაამღდეგ, ECLI:EU:C:2017:541; 2. C-149/15 საბრინა ვოტელეტი, ავტოფარეხ ბიტერები და ფილზ ესფიარელ-ის წინაამღდეგ, ECLI:EU:C:2016:840; 3. C-497/13 ფრაუკიე ფაბერი, ავტომობილების დილერ ჰაზეთ ოჩთენი ბევეს წინააღმდეგ, ECLI:EU:C:2015:357; 4. გაერთიანებული საქმეები C-65/09-დან C-87/09-დე გებრ ვებერ გეემბეჰა, იურგენ ვიტმერის წინაამღდეგ (C-65/09) და ინგრიდ პულცი, მედიანეს ელექტრონიქს გეემბეჰა-ს წინაამღდეგ (C-87/09), ECLI:EU:C:2011:396 5. C-404/06 ქველე ეიჯი, სამომხმარებლო ცენტრებისა და სამომხმარებლო ასოციაციების ფედერალური ასოციაციის წინაამღდეგ, ECLI:EU:C:2008:231	1. კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“; 2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ შესაბამისობა: სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო

1	2	3	4	5	6	7
1	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივის „სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ“ 5.1 მუხლი და 7.1 მუხლის მეორე ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს ისე, რომ აუქმებდეს წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმას, რომელიც მომხმარებლის მოქმედების ვადად განსაზღვრავს ორ წელზე ნაკლებს ნივთის მიწოდების დროიდან, იმ შემთხვევაშიც თუ სახელმწიფოს გამოყენებული				ას	

	აქვს დირექტივის 5.1 და 7.1 მუხლის მეორე ქვეპუნქტით დაწესებული შესაძლებლობა და მოვაჭრე და მომხმარებელი შეთანხმდნენ ორ წელზე ნაკლებ ვადაზე, კერძოდ, ერთ წელზე მეორეული ნივთების შემთხვევაში.					
2	ცნება „გამყიდველი“, ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის 1999/44/EC „სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ“ დირექტივის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „c” ქვეპუნქტის მიზნებისთვის, განმარტებული უნდა იყოს იმგვარად, რომ მოიცვას ისეთი მოვაჭრე, რომელიც მოქმედებს, როგორც შუამავალი იმ კერძო პირის სახელით, რომელსაც სათანადოდ არ გაუფრთხილებია მომხმარებელი, რომ გაყიდული საქონლის მესაკუთრე კერძო პირია, რაც სასამართლოს განსასაზღვრია და მან მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის ყველა გარემოება. ზემოთ მოცემული განმარტება არ არის დამოკიდებული იმაზე, შუამავალს აუნაზღაურდა თუ არა მისი, როგორც შუამავლის საქმიანობა.	1	3	ვ) მოვაჭრე - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ასევე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან დავალებით;	სშ	
3.1	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივა 1999/44/EC „სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ“ უნდა განიმარტოს ისე, როგორც ეროვნული სასამართლო განმარტავს, სადაც იმ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საქმე განიხილება, რომელსაც ეს დირექტივა ფარავს. განმარტების დროს უნდა განისაზღვროს შეიძლება თუ არა შემძენი იყოს მომხმარებელი ამ დირექტივის მიზნებისთვის, იმ				ას	

	შემთხვევაშიც კი, როდესაც შემძენი სასამართლოში მივიდა ამ სტატუსის გარეშე.					
3.2	1999/44 დირექტივის 5.3 მუხლი უნდა განიმარტოს ისე, როგორც ეროვნული ნორმის ტოლი დებულება, რომელიც ეროვნულ საკანონმდებლო სისტემაში, საჯარო პოლიტიკის ნორმად მოიაზრება და რომ ეროვნულმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით გამოიყენოს ნებისმიერი დებულება, რომელსაც იგი ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოაქვს.				ას	
3.3	1999/44 დირექტივის 5.2 მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ არ მოიცვას ისეთი ეროვნული ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მომხმარებელმა ამ დირექტივით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის მიზნით, უნდა აცნობოს გამყიდველს შესაბამისობის წუნის შესახებ დროულად, იმ პირობებში, რომ ამისთვის მომხმარებელს წუნის აღმოჩენიდან 2 თვეზე ნაკლები ვადა არ ჰქონდეს და რომ მიწოდებული ინფორმაცია დაკავშირებული იყოს მხოლოდ წუნის არსებობასთან, რომელიც მტკიცებას არ ექვემდებარება, რადგან მომხმარებლის უფლებებით სარგებლობას შეუძლებელს ან ძალიან ძნელს გახდიდა.				ას	
3.4	1999/44 დირექტივის 5.3 მუხლი ისე უნდა განიმარტოს, რომ ნორმა, რომელიც ადგენს, რომ შესაბამისობის წუნი არსებობდა საქონლის მიწოდებისას: - გამოიყენება თუ მომხმარებელი უზრუნველყოფს მტკიცებულებას, რომ გაყიდული საქონელი წუნდებულია და არ არის	1	21.1	თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი აღმოაჩინა საქონლის მფლობელობაში მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ ასეთი რამ შესაძლებელია საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე. ასეთ	სშ	

	ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში და წუნი გახდა აშკარა, უფრო კონკრეტულად, ფიზიკურად აშკარა, საქონლის მიწოდებიდან ექვსი თვის განმავლობაში. მომხმარებელი არ არის ვალდებული დაამტკიცოს წუნის მიზეზი ან ის, რომ წუნი თანდაყოლილია; - შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული მხოლოდ მაშინ თუ გამყიდველი არსებული საკანონმდებლო სტანდარტით დაამტკიცებს, რომ ნაკლის მიზეზი ან წარმოშობა ისეთ გარემოებებზეა დამოკიდებული, რომელიც საქონლის მიწოდების შემდეგ წარმოიქმნა.			შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეზეა. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი აღმოაჩინა საქონლის მფლობელობაში მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ, მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას ეკისრება მომხმარებელს.		
4.1	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის დირექტივა 1999/44/EC „სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ“ ისე უნდა განიმარტოს, რომ ხელშეკრულებასთან შეუსაბამო საქონელი, რომელიც მისი ბუნებისა და მიზნის გათვალისწინებით, მომხმარებელმა კეთილსინდისიერად დაამონტაჟა, სანამ წუნი ნათელი აღმოჩნდებოდა, მოყვანილია შესაბამისობაში ამ საქონლის შეცვლის გზით. მომხმარებელმა უნდა მოხსნას დამონტაჟებული საქონელი და დაამონტაჟოს შეცვლილი საქონელი ან გაიღოს მოხსნისა და შეცვლილი საქონლის დამონტაჟების ხარჯი. მომხმარებლის ეს ვალდებულება არსებობს იმის მიუხედავად ასეთი ვალდებულება ჰქონდა თუ არა მას ხელშეკრულებიდან გამომდინარე.	1	18.3	საქონლის შეკეთება ან შეცვლა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში და იმგვარად, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც შეიძინა მომხმარებელმა საქონელი.	სშ	

4.2	1999/44 დირექტივის მუხლი 3.3 უნდა განიმარტოს ისე, რომ არ მოიცვას ეროვნული კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველს ენიჭება წუნდებული საქონლის გამოსწორების ერთადერთ შესაძლებლობაზე, შეცვლაზე უარის თქმის უფლება, იმ მიზეზით, რომ დამონტაჟებული საქონლის მოხსნა იწვევს ხარჯს, რომელიც არაპროპორციულია საქონლის ღირებულებასთან მიმართებით წუნი რომ არ ჰქონოდა და ასევე წუნის მნიშვნელობიდან გამომდინარე. თუმცა ეს დებულება არ გამორიცხავს მომხმარებლის უფლებას აანაზღაუროს წუნდებული საქონლის მოხსნის მხოლოდ ლიმიტირებული ხარჯი და შეცვლილი საქონლის დამონტაჟების მხოლოდ ლიმიტირებული ხარჯი, თუ მოვაჭრეს პროპორციული რაოდენობა გადაუხადა.	1	18.2 18.8	საქონლის შეცვლა ან შეკეთება მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, **გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეუძლებელია საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, ან მოითხოვს არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.** იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად არათანაზომიერი ან შეუსაბამოდ დიდია ხარჯი, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები: ა) პროდუქტის ღირებულება ხელშეკრულების პირობებთან მისი შესაბამისობის შემთხვევაში; ბ) შეუსაბამობის ხარისხი; გ) ნაკლის აღმოფხვრის ალტერნატიული შესაძლებლობა მომხმარებლისთვის შეფერხების შექმნის გარეშე;	სშ	

5	ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის 2999/44 დირექტივა „სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის გარკვეული ასპექტებისა და მათთან დაკავშირებული გარანტიების შესახებ“ უნდა განიმარტოს ისე, რომ არ მოიცვას ეროვნული კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი, რომელმაც სამომხმარებლო წუნდებული საქონელი გაყიდა, მომხმარებელს მოსთხოვოს კომპენსაციის გადახდა წუნდებული საქონლის მის შეცვლამდე გამოყენებისთვის.	1	18.1	თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელს უფლება აქვს მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა - საქონლის უსასყიდლოდ შეცვლა ან შეკეთება, ფასის შემცირება ან უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან.	სშ	კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოვაჭრის უფლებას, ნაკლიანი ნივთის შეცლამდე მომხმარებელს მოსთხოვოს კომპენსაცია ამ ნივთით სარგებლობისთვის.
			18.2	საქონლის შეცვლა ან შეკეთება მომხმარებლის პირველი რიგის უფლებებია. მომხმარებელს უფლება აქვს მოვაჭრეს მოსთხოვოს საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეუძლებელია საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, ან მოითხოვს არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.		
			18.3	საქონლის შეკეთება ან შეცვლა უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში და იმგვარად, რომ მომხმარებელს არ შეექმნას მნიშვნელოვანი შეფერხება საქონლის ბუნებისა და იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც შეიძინა მომხმარებელმა საქონელი.		
			19.4	საქონლის უსასყიდლოდ შეკეთება ან შეცვლა გულისხმობს მოვაჭრის მიერ ყველა ხარჯის გაწევას, რაც საჭიროა საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მათ შორის, ფოსტის, სამუშაო ძალის და მასალების ხარჯს.		